

შუალედური ანგარიში №2  
14-24 დეკემბერი 2007 წელი\*

I. მოკლე შინაარსი

- წინასაარჩევნო კამპანია გარკვეულწილად გააქტიურდა და მკვეთრად პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში მიმდინარეობს. ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, საარჩევნო კამპანია სხვა კანდიდატებთან შედარებით საგრძნობლად გააქტიურდა. საარჩევნო გარემო მიხეილ სააკაშვილის მიერ საბიუჯეტო სახსრების გამოყენების, არათანაბარი საარჩევნო პირობების, დაშინებისა და ხმების მოსყიდვის ბრალდებების შედეგად გაუარესდა. ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ მიიღო ინფორმაცია და ცნობები პირველწყაროდან, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ამ ბრალდებათა ნაწილი სინამდვილეს შეესაბამება.
- 24 დეკემბერს ხელისუფლებამ გაავრცელა რამდენიმე ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ნაჩვენებია იყო, თუ როგორ გეგმავდა საპრეზიდენტო კანდიდატის, ბადრი პატარკაციშვილის, საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი არჩევნების შემდეგ სახელმწიფო გადატრიალებას. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდა, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პირობა დადო და განაცხადა, რომ ხელისუფლება ქვეყნის დესტაბილიზაციის ნებისმიერ მცდელობაზე რეაგირებას მოახდენს.
- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, მათ შორის არჩევნების დღის პროცედურების შესახებ. ის არჩევნების წინასწარი შედეგების გამოქვეყნებას საარჩევნო უბნების დახურვიდან 24 საათში გეგმავს. ცესკო-მ ასევე დაიწყო საინფორმაციო კამპანია, რომლის მიზანია მოსახლეობას განუმარტოს საარჩევნო უბნებზე ვიდეოკამერების დანიშნულება. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები კვლავ გამოხატავენ შეშფოთებას საარჩევნო სივრცეში არსებული უზუსტობებისა და მისი არასრულყოფილების გამო.
- ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა გამოარკვიეს, რომ ოპოზიციის მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიების ზოგიერთი წევრი არ იყო ინფორმირებული საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომების შესახებ. მოგვიანებით, ზოგიერთი სხდომის ოქმები პროცედურული დარღვევის გამო გაუქმებულად ჩაითვადა.
- ტელეკომპანიების ეთერში რეგულარულად იმართება „თოქ-შოუები“ და დებატები საპრეზიდენტო კანდიდატებს, ან კიდევ, მათ წარმომადგენლებს შორის. მხოლოდ ყოფილი პრეზიდენტი და არკადი პატარკაციშვილი დღემდე იყენებენ ფასიან სატელევიზიო რეკლამებს. თავდაპირველად, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის

\* “შუალედური ანგარიში № 2”. ამ დოკუმენტის ერთადერთი ოფიციალური ვერსია ინგლისურ ენოვანი ვერსიაა.

არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მიერ განხორციელებულ მედიის მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, ტელეკომპანიათა უმეტესობა მოვლენებს დაბალანსებულად არ აშუქებს. ბატონი სააკაშვილი, ჩვეულებრივ, ყველაზე მეტად შუქდება. კერძო ტელეკომპანია „იმედი“ უფრო კრიტიკულადაა განწყობილი სააკაშვილის მიმართ, ვიდრე სხვა დანარჩენი ტელეკომპანიები, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობენ და, რომელთა მონიტორინგიც ხორციელდება.

- კანონის ნორმები, რომლებიც არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრებისა და გასაჩივრებელი საქმეების განსახილველად გამოიყენება, ბუნდოვანია. დაინტერესებულ მხარეებს არ სჯერათ სასამართლოს და საარჩევნო კომისიის მიუკერძოებლობის და მათ მიმართ უნდობლობას გამოხატავენ. თავდაპირველად, ცესკო არ განიხილავდა საჩივრებს როგორც კოლექტიური ორგანო როგორც კანონით არის დადგენილი. სხდომებზე საჩივრების განხილვის დაწყების შემდეგაც კი, ცესკო-ს წევრები ხმას აძლევენ პარტიის ინტერესებიდან, და არა კანონის რაციონალური გააზრებიდან, გამომდინარე.

## II. საარჩევნო ადმინისტრაცია

ცენტრალური საარჩევნო კომისია განაგრძობს არჩევნებისთვის მზადებას. იგი სხდომებს თითქმის ყოველ დღე ატარებს. მან ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, დაამტკიცა საარჩევნო ბიულეტენის ფორმა და შინაარსი, სხვადასხვა სახის ოქმი და საზღვარგარეთ ხმის მიცემის საკითხები. ცესკო-მ ასევე შეიმუშავა ინსტრუქცია კენჭისყრის დღის პროცედურების შესახებ. თუმცა, ეს წესები არ არის სრული და ზოგჯერ არ მოდის შესაბამისობაში კანონთან, რასაც შესაძლოა არჩევნების დღეს პროცედურების არათანმიმდევრული განხორციელება მოყვეს.

ცესკო-ს სხდომები ისეთ პირობებში ტარდება, რომ დამკვირვებლებისთვის რთული ხდება პროცესსზე დაკვირვება. კომისიის წევრების მიერ ხმის მიცემის შედეგები ყოველთვის არ ცხადდება, ზოგჯერ გაუგებარიც კი არის გადაწყვეტილება მიიღეს თუ არა. წევრები ბევრ გადაწყვეტილებას ხმას პარტიის ინტერესებიდან და არა კანონის რაციონალური გააზრებიდან გამომდინარე აძლევენ.

ცესკო-მ განაცხადა, რომ ის წინასწარი შედეგების გამოქვეყნებას კენჭისყრის დასრულებიდან 24 საათში აპირებს. ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, ცესკო-მ ახალი სერვერი შეიძინა. ცესკო-ს ქართულენოვანი ვებ-გვერდი რეგულარულად ახლდება.

იმისათვის, რომ მოეგვარებინა საარჩევნო უბნებზე ვიდუო კამერებთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც შეშფოთებას იწვევს იმის გამო, რომ მათმა არსებობამ შესაძლოა ხელყოს ხმის მიცემის ფარულობა, ცესკო-მ დაიწყო საინფორმაციო კამპანია, რათა აუხსნას ამომრჩეველებს, რომ კამერების

არსებობის მიზანია დარღვევათა პრევენცია და დამრღვევისთვის სანქციის დაკისრება. 17 დეკემბერს, ცესკო-მ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ზოგიერთ საუბნო საარჩევნო კომისიას საშუალება ეძლევა ცუდი კლიმატური პირობების შემთხვევაში არჩევნები დანიშნულ დროზე ადრე ჩაატარონ. პარტიების მიერ დანიშნული ცესკო-ს წევრების დაუინებელი მოთხოვნის შედეგად, ის საუბნო საარჩევნო კომისიები, სადაც შესაძლოა არჩევნები დანიშნულ დროზე ადრე ჩატარდეს, გადაწყვეტილებაში დაკონკრეტდა (სულ 21 უბანი).

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ტრენინგი მიმდინარეობს. ზოგადად, საოლქო საარჩევნო კომისიები კარგად ორგანიზებულები არიან. ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების განცხადებით, ყველაზე დიდი გამოწვევა, რომლის წინაშეც საოლქო საარჩევნო კომისიები დგანან, განსაკუთრებით კი ქალაქებში, არის უბნების თავიდან დაყოფა, რისი აუცილებლობაც თითოეულ უბანზე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის შემცირების საჭიროებიდან გამომდინარეობდა. მიუხედავად ცესკო-ს განცხადებისა, რომ იგი ეროვნული უმცირესობების ენებზე ბევრი საარჩევნო მასალის მომზადებას აპირებდა, მან მხოლოდ ბიულეტენების თარგმნა და ბეჭდვა განახორციელა.

ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ რამდენიმე საოლქო საარჩევნო კომისიამ არ აცნობა ყველა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს თავიანთი პირველი სხდომის შესახებ, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ბევრ სხვა შემთხვევაშიც გამოარკვიეს. მაგალითად, №23-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში, საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომათა ოქმების უმეტესობა საუბნო საარჩევნო კომისიის 13 წევრიდან მხოლოდ 7-8 წევრის მიერ იყო ხელმოწერილი. საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადასტურა, რომ სხდომის შესახებ მან მხოლოდ მის მიერ დანიშნულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს აცნობა. ერთიანმა სახალხო მოძრაობამ ამ ფაქტთან დაკავშირებით საჩივარი შეიტანა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ 23 საარჩევნო უბანი მათ წევრებს დაკეტილი დახვდათ. ის შემთხვევები, როდესაც პარტიების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს არ ეცნობათ საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომის თაობაზე, ასევე ადგილი ჰქონდა №24 და №25 საოლქო საარჩევნო კომისიებში.

ცესკომ №12, 15, 28 და 61 საოლქო საარჩევნო კომისიების 16 საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომების ოქმები დადგენილი პროცედურების დარღვევით ჩატარების გამო, ბათილად ცნო. ოპოზიციური პარტიები აცხადებენ, რომ 28-ე საოლქო საარჩევნო უბანში, საუბნო საარჩევნო კომისიის რვა ოქმი ბათილად გამოცხადდეს, რადგან აღნიშნულ საუბნო საარჩევნო კომისიებში თავმჯდომარის პოსტზე ოპოზიციის მიერ წარდგენილი წევრების დანიშვნის თაობაზე კენჭისყრა მიმდინარეობდა. 15 დეკემბერს პარტია „თავისუფლებამ“ საჩივარი შეიტანა ქუთაისის სასამართლოში, იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ № 59 საოლქო საარჩევნო კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეების,

თავმჯდომარეების მოადგილეებისა და მდივნების დანიშვნის შესახებ ოქმები ცნო, იმის მიუხედავად, რომ მათ იურისდიქციაში მყოფი 120 საუბნო საარჩევნო კომისიიდან 89-ში დაშვებული პროცედურებიდან მოხდა გადაცდომა. ტექნიკური საფუძველიდან გამომდინარე, სასამართლომ საჩივარი არ მიიღო, რის შემდეგაც ეს ფაქტი გასაჩივრდა.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისია კარგად თანამშრომლობს ცესკო-სთან. ცესკო-ს ქვედა დონის კომისიებმა არჩევნების სადამკვირვებლო მისიას ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია მიაწოდა.

### III. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

კომისიების მიერ საჯარო ადგილას გამოკრული საარჩევნო სიების გადამოწმება 13 დეკემბერს დასრულდა. ამჟამად ცესკო ამ პერიოდში მოქალაქეებისგან მიღებულ ინფორმაციას ამუშავებს. ცესკო თავის ცხელ ხაზზე დღეში დაახლოებით 1 500 ზარს იღებდა, ზარების უმეტესობა საარჩევნო სიებს შეეხებოდა.

საარჩევნო სიები, რომელიც მოსახლეობის მიერ გადამოწმების მიზნით, ყველა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიაში გამოიკრა, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა მოინახულეს. თუმცა, ამომრჩევლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მიუხედავად, საარჩევნო კომისიებს შესწორებები ყოველთვის არ შეჰქონდათ. არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები შეესწრნენ იმ ფაქტს, როდესაც ამომრჩეველთა მოთხოვნები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა არ დააკმაყოფილეს და საარჩევნო სიებში მათი დამატების მიზნით, არჩევნების დღეს მოსვლა ურჩიეს (№32 საოლქო საარჩევნო კომისია, №8 და №9 საუბნო საარჩევნო კომისიებში).

ზოგიერთი ოპოზიციური კანდიდატი კვლავ გამოხატავს შეშფოთებას საარჩევნო სიებთან მიმართებაში. პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები მიუთითებდნენ სიების არასრულყოფილებაზე და მათში არსებულ ისეთ უზუსტობებზე, როგორცაა ორმაგი და/ან არასრულყოფილი მონაცემები. საპრეზიდენტო კანდიდატებმა ასევე დააყენეს საკითხი იმის თაობაზე, რომ ემიგრაციაში მყოფი პირები კვლავ რჩებიან საარჩევნო სიებში. მეორე მხრივ, საქართველოს კონსტიტუციაც და ერთიანი საარჩევნო კოდექსი არის საყოველთაო ხმის მიცემის უფლების გარანტი, საარჩევნო კოდექსი კი, აზუსტებს, რომ მოქალაქეები საარჩევნო სიებში მათი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით არიან შესული.

მიუხედავად ცესკო-ს განცხადებისა, რომ კარდაკარ გადამოწმების შედეგად, საარჩევნო სიიდან 28 000 გარდაცვლილი პირი იქნა ამოღებული, არჩევნების

სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა მთელი საქართველოს მასშტაბით მოისმინეს მრავალი ბრალდება იმის თაობაზე, რომ სიებში ასეთ ადამიანთა რაოდენობა კვლავ დიდია. ცესკო-მ იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთან ერთად წამოაყენა ინიციატივა, რაც იმას გულისხმობს, რომ შესაძლებელია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ეცნობოს საარჩევნო სიებში არსებულ გარდაცვლილ პირთა შესახებ, რის შემდეგაც სიებში სათანადო აღნიშვნა გაკეთდება.

ცესკო-მ არჩევნების სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ მათ საარჩევნო სიებში არსებული უზუსტობის შესახებ კანონით დადგენილ ვადებში არც ერთი საჩივარი არ მიუღიათ. 17 დეკემბერს, ლეიბორისტულმა პარტიამ შეიტანა საჩივარი მსგავს უზუსტობებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ საჩივარი სიის შესწორებისთვის დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ შევიდა, ცესკო-მ განაცხადა, რომ საჩივარში მოყვანილი ფაქტები გადამოწმდება და რაიმე შეცდომის არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, გასწორდება.

#### IV. საარჩევნო გარემო

წინასაარჩევნო კამპანია კვლავ მკვეთრად პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში მიმდინარეობს. საარჩევნო ღონისძიებები აღნიშნული ანგარიშის მომზადების პერიოდში გარკვეულწილად გააქტიურდა. თუმცა, ზოგიერთ რეგიონში ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიანი დამკვირვებლები საარჩევნო კამპანიის ვიზუალური მხარის აშკარა სიმცირეს აღნიშნავენ. როგორც სჩანს ქვეყნის უმეტეს ნაწილში საარჩევნო კამპანია ზოგჯერ თავშეკავებულია, მაშინ როდესაც კანდიდატები ადგილზე არ იმყოფებიან. ძირითადი საარჩევნო ღონისძიება არის საპრეზიდენტო კანდიდატების მიტინგები. კანდიდატთა უმეტესობა ქვეყნის სხვადასხვა მხარეს სტუმრობს. იშვიათად რიგდება საარჩევნო პლაკატები და საარჩევნო ფურცლები კარდაკარ. მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო ღონისძიებები გაცილებით ფართომასშტაბიანია, ვიდრე სხვა კანდიდატების, განსაკუთრებით კი, თბილისში. მაგალითად, საზოგადოებრივი ტრანსპორტი დედაქალაქში გადამდგარი სააკაშვილის საარჩევნო პლაკატებით არის დაფარული. ამასთან დაკავშირებით სააკაშვილის საარჩევნო გუნდი ირწმუნება, რომ იგი ფასიანი რეკლამაა.

ბატონი სააკაშვილის საარჩევნო კამპანია კონცენტრირებულია სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის დაპირებებზე, მისი პრეზიდენტობის დროის მიღწევებზე, იმაზე რომ ქართველებისთვის ბევრი რამ გაუმჯობესდა - გაიზარდა ხელფასები და პენსიები და უზრუნველყოფილია მუდმივი ელექტრო ენერჯით მომარაგება. ის ასევე ხაზგასმით აღნიშნავს მის მიზანს ადადგინოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. სხვა კანდიდატებიც ასევე აკეთებენ აქცენტს სოციალურ საკითხებზე, თუმცა მათი საარჩევნო კამპანიის ძირითადი ნაწილი სააკაშვილის ლანძღვას ეთმობა, ხანდახან ეს ძალიან მწვავედ არის

გამოსატული. მაგალითად, ლეიბორისტული პარტიის კანდიდატმა, შალვა ნათელაშვილმა, მიტინგზე სააკაშვილი ანტიქრისტედ შერაცხა. ლევან განაჩილაძე, ცხრა პარტიისგან შემდგარი გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობის კანდიდატმა, თბილისში 7 ნოემბრის დემონსტრაციის უღმობელი დარბევის ფაქტი აღნიშნა და პირობა დადო, რომ ადამიანის უფლებების დაცვას დიდ ყურადღებას მიაქცევს. მან ასევე აღნიშნა გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობის შემოთავაზება საქართველო საპრეზიდენტო წყობიდან საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადავიდეს.

ბატონი სააკაშვილის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსანი პირები განაგრძობენ იმის მტკიცებას, რომ ოპოზიციური კანდიდატების უმრავლესობა ყურადღებას არჩევნებში გამარჯვებისთვის საარჩევნო კამპანიის წარმოების ნაცვლად, საარჩევნო დარღვევების ბრალდებებზე ამახვილებს. სავარაუდოდ, ამას იმის გამო აკეთებს, რომ ეჭვქვეშ დააყენოს არჩევნების შედეგები. ზოგიერთმა ოპოზიციურმა კანდიდატმა განაცხადა, რომ ისინი პატივს სცემენ სამართლიანი არჩევნების შედეგებს, თუმცა გამუდმებით ეჭვქვეშ აყენებენ პროცესის სამართლიანობას.

ერთი კანდიდატი, არკადი პატარკაციშვილი, ქვეყნიდან არჩევნების გამოცხადებამდე წავიდა და დღემდე არ ჩამოსულა. იმის გამო, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა მას ნოემბერში სახელმწიფო გადატრიალების დაგეგმვაში დასდეს ბრალი, მან მოითხოვა იმის გარანტია, რომ ჩამოსვლისას არ დაიჭერდნენ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა დასძინეს, რომ იგი ისეთივე იმუნიტეტით სარგებლობდა, როგორც ყველა კანდიდატი და რომ სხვა რაიმე გარანტია არ გაიცემოდა. აღნიშნული იმუნიტეტის მოხსნა შესაძლებელია ცესკო-ს მიერ გენერალური პროკურორის მოთხოვნის საფუძველზე. ბატონი პატარკაციშვილისთვის აღნიშნული პასუხი დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა.

24 დეკემბერს, ხელისუფლებამ გაავრცელა რამდენიმე ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ნაჩვენებია იყო, თუ როგორ გეგმავდა საპრეზიდენტო კანდიდატის, ბადრი პატარკაციშვილის, საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი არჩევნების შემდეგ სახელმწიფო გადატრიალებას. იმავე დღეს, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, ნინო ბურჯანაძემ, თავის სატელევიზიო გამოსვლაში მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდა, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პირობა დადო და განაცხადა, რომ ხელისუფლება ქვეყნის დესტაბილიზაციის ნებისმიერ მცდელობაზე რეაგირებას მოახდენდა.

საარჩევნო გარემო ოპოზიციური კანდიდატებისა და ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წამოყენებული სხვადასხვა სახის დარღვევაზე ბრალდების შედეგად გაუარესდა. პენსიონერებისთვის და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის ელექტრო ენერჯის, ბუნებრივი აირისა და სამედიცინო პრეპარატების ვაუჩერების დარიგება გააკრიტიკეს, რადგან იგი ბატონი სააკაშვილის საარჩევნო კამპანიის სასარგებლოდ საბიუჯეტო სახსრების აშკარა გამოყენებად მიაჩნიათ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები განაგრძობენ იმის მტკიცებას, რომ ვაუჩერების დარიგება არჩევნების დანიშნამდე იყო

დაგეგმილი. თუმცა, არის იმის მტკიცებულება, რაც გაფიქრებინებს, რომ ვაუჩერების დარიგება საარჩევნო მიზნებიდან გამომდინარეობდა, რადგან ზღვარი სახელმწიფო ღონიძიებებსა და კანდიდატის საარჩევნო კამპანიას შორის ბუნდოვანია. ვაუჩერებში ნათქვამია, რომ იგი პრეზიდენტის სუბსიდიია. ჯანდაცვის ვაუჩერები პენსიონერებისთვის, ისევე როგორც დროებითი დასაქმების პროგრამის ფურცლებზე გამოსახულია ციფრი “5”, ნომერი, რომლითაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არჩევნებში 2004 წლიდან მოყოლებული მონაწილეობდა. იყო ბევრი ბრალდება იმასთან დაკავშირებით, რომ ვაუჩერების დამრიგებლებმა ეს შესაძლებლობა ბატონი სააკაშვილის საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად გამოიყენეს. ერთ ერთმა მოქალაქემ, რომელმაც ჯანდაცვის ვაუჩერი მიიღო და, რომელსაც არჩევნების სადამკვირვებლო მისია გაესაუბრა, დაადასტურა, რომ ვაუჩერების დამრიგებელმა მას კითხა ხმას ნომერ 5 ხომ არ მისცემდა. სხვა მოქალაქემ, რომელსაც არჩევნების სადამკვირვებლო მისია ასევე გაესაუბრა, მოყვა თუ როგორ რიგდება ვაუჩერები ბატონი სააკაშვილის საარჩევნო კამპანიაში ჩართული პირების მიერ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისიდან.

ოპოზიციური კანდიდატები ასევე საყვედურობდნენ იმის თაობაზე, რომ ყველას თანაბრად არ მიუწვდებოდა ხელი სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ შენობებზე, რათა იქ საარჩევნო ღონისძიებები გაემართათ. ბევრ შემთხვევაში მათ ჰქონდათ სახელმწიფო მფლობელობაში არსებული შენობების გამოყენების საშუალება. მიუხედავად ამისა, არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ დაადასტურა, რომ თელავში ბატონი გაჩეჩილაძეს არ მისცეს უფლება გამოეყენებინა თეატრი, რომლის გამოყენებაც ბატონმა სააკაშვილმა წინა დღეს შეძლო. იყო გავრცელებული ბრალდება იმასთან დაკავშირებით, რომ ოპოზიციურ კანდიდატებს შეექმნათ პრობლემები საარჩევნო ოფისის გახსნასთან დაკავშირებით, რაც იმის გამო ხდებოდა, რომ შენობების მფლობელებზე ზეწოლა ხორციელდებოდა, რათა მათ შენობები არ გაექირავებინათ. ქარელში ერთიანი სახალხო მოძრაობის ოფისის მფლობელმა არჩევნების სადამკვირვებლო მისიას აცნობა იმის შესახებ, თუ როგორ დააშინეს ის და მისი ოჯახი დაჭერით, თუ ის შენობის გაქირავებას გააგრძელებდა.

ასევე ფართოდ გავრცელდა დაშინების ბრალდებებიც. თელავში, სტუდენტმა არჩევნების სადამკვირვებლო მისიას იმის თაობაზე აცნობა, თუ როგორ გააფრთხილა იგი პოლიციელმა, რომელმაც უთხრა, რომ მისი კარიერა და ოჯახის მომავალი იმაზე იყო დამოკიდებული, მისცემდა თუ არა იგი ხმას სააკაშვილს. მცხეთაში, ოპოზიციურმა აქტივისტმა არჩევნების სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ იგი გააფრთხილეს იმის თაობაზე, რომ მისი მომავალი სააკაშვილისთვის ხმის მიცემაზე იყო დამოკიდებული. ბევრმა ოპოზიურმა კანდიდატმა განაცხადა, რომ ისინი დაშინების მიზნით გაიტაცეს. ბათუმში, ერთიანი სახალხო მოძრაობის აქტივისტმა არჩევნების სადამკვირვებლო მისიას უთხრა იმის თაობაზე თუ როგორ დააკავეს და როგორ ეპყრობოდნენ მას 16-17 დეკემბრის ღამეს. ოპოზიციური ფიგურები დარწმუნებული იყვნენ, რომ მოტაცებას პოლიტიკური სარჩული ედო.

ხმების მოსყიდვასთან დაკავშირებული ბრალდებები ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ სასამართლოში შეტანილ საქმეში საპრეზიდენტო კანდიდატის

სააკაშიელისა და პატარკაციშიელის მისამართით გაისმა. ბატონ სააკაშიელს ბრალს ორი დარღვევის გამო დებენ: მოზარდისთვის კომპიუტერის ჩუქებისა და საარჩევნო ფურცლებთან ერთად გასართობი პარკის უფასო ბილეთების დარიგების გამო. ბატონმა პატარკაციშიელმა პირობა დადო, რომ თუ მას აირჩევენ, იგი თავის 1,5 მილიარდ ლარს (650 მილიონი ევრო) დახარჯავდა იმაში, რომ ბევრ სხვა რამესთან ერთად 18 თვის განმავლობაში კომუნალურ გადასახადებს დაფარვდა და სხვადასხვა ხალხს სოციალურ შეღავათებს მისცემდა.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ინიციატივით 12 დეკემბერს იუსტიციის მინისტრთან თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. მისი შექმნის მიზანია უზრუნველყოს სამართლიანი არჩევნები და კოორდინაცია სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან. აღნიშნულმა ჯგუფმა მოამზადა პასუხი ოპოზიციური და სხვა პარტიების ბრალდებებზე დარღვევების შესახებ და განაცხადა, რომ მზად არის დარღვევის დადასტურების შემთხვევაში მოახდინოს რეაგირება.

## V. მედია

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, ისევე როგორც ის ტელევიზიები, რომლებიც ქვეყნის და რეგიონის მასშტაბით მაუწყებლობენ, კანდიდატებსა და მათ წარმომადგენლებს შორის „თოქ-შოუებსა“ და დებატებს რეგულარულად მართავენ. აზრთა გაცვლის თვალსაზრისით, მსგავსი გადაცემები კანდიდატებისთვის მნიშვნელოვან ფორუმს წარმოადგენს. ამასთანავე, ისინი ამომრჩევლებს საშუალებას აძლევენ შეექმნათ წარმოდგენა კანდიდატების შესახებ. ორი კანდიდატი, ირინა სარიშიელი და გიორგი მაისაშიელი, რომლებიც არაკვალიფიციურ სუბიექტთა<sup>1</sup> კატეგორიას განეკუთვნებიან, უარი განაცხადეს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ორგანიზებულ დებატებში მონაწილეობაზე. მათი განცხადებით, ისინი დებატებს მხოლოდ მიხეილ სააკაშიელთან გამართავენ. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ყველა კანდიდატს პრეზენტაციისთვის ასევე შესთავაზა უფასო საეთერო დრო. ჯერჯერობით მხოლოდ ოთხმა კანდიდატმა გამოიყენა ეს შესაძლებლობა. კანდიდატებს ასევე ჰქონდათ იმის საშუალება, რომ ესარგებლათ უფასო საეთერო დროით კერძო ტელეკომპანიებში.

კანონით ყველა კანდიდატს აქვს თანაბარი უფლება იყიდოს საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამის განსათავსებლად. ჯერჯერობით, მხოლოდ ორმა კანდიდატმა, ბატონმა სააკაშიელმა და ბატონმა პატარკაციშიელმა, გამოიყენა ეს შესაძლებლობა. პირველმა მათგანმა პოლიტიკური რეკლამები იმ ოთხივე ტელეკომპანიის ეთერში განათავსა, რომელთა მაუწყებლობა საქართველოს მასშტაბით ვრცელდება. უკანასკნელმა მათგანმა კი, მხოლოდ ტელეკომპანია

<sup>1</sup> ამ საკითხზე დეტალების გასარკვევად იხილეთ OSCE/ODIHR არჩევნების სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში №1 – [http://www.osce.org/documents/odihr/2007/12/29018\\_en.pdf](http://www.osce.org/documents/odihr/2007/12/29018_en.pdf)



„იმედში“, რომელთანაც იგი ასოცირდება. სულ ცოტა სამმა კანდიდატმა საჯაროდ დაიჩივლა, რომ იმ ტელეკომპანიებში, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობენ, მაღალი ფასები აქვთ პოლიტიკური რეკლამებისთვის. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალურმა პირმა არჩევნების სადამკვირვებლო მისიას განუცხადა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის განაკვეთები პოლიტიკური რეკლამისთვის არის დაახლოებით ათჯერ უფრო მაღალი, ვიდრე კომერციული რეკლამის.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მიერ განხორციელებული წინასწარი მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ არ არსებობს ბალანსი კანდიდატების საუკეთესო საეთერო დროს გაშუქების თვალსაზრისით იმ ტელეკომპანიათა უმეტესობაში, რომელთა მონიტორინგსაც იგი აღორციელებს. 7 დეკემბრიდან 20 დეკემბრამდე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა თავისი პოლიტიკური და საარჩევნო ამბების გაშუქებისას 41% ბატონ მიხეილ სააკაშვილს დაუთმო. აქედან 99% იყო დადებითი ან ნეიტრალური. ყველაზე მეტად გაშუქებულ კანდიდატთა სიაში მეორეა ბატონი დავით გამყრელიძე, რომელმაც საინფორმაციოებში 17% მიიღო. მას მოჰყვება ლევან გაჩეჩილაძე (16%) და შალვა ნათელაშვილი (13%). ეს კანდიდატებიც უმეტეს წილად დადებითად ან ნეიტრალურად შექდებოდნენ.

ორმა კერძო ტელეკომპანიამ, რომლებიც მთელი საქართველოს მასშტაბით მაუწყებლობენ – „რუსთავი 2-მა“ და „მზე-მ“ - იგივე ტაქტიკა აირჩია, რაც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და თავიანთი საინფორმაციო გამოშვებების დროის მეტი ნაწილი ბატონ სააკაშვილს დაუთმო. მაგალითად, 16 დეკემბერს, „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“, „რუსთავი 2-მა“ და „მზე-მ“ ახლი ამბების განყოფილებაში, „პრაიმ-ტაიმის“ დროს 28 წუთის განმავლობაში, პირდაპირ ეთერში გადმოსცეს ბატონი სააკაშვილის შეხვედრა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის თანამშრომლებთან.

ტელეკომპანია „იმედში“ ბატონმა სააკაშვილმა პოლიტიკურ და არჩევნებთან დაკავშირებულ ახალ ამბებში საუკეთესო საეთერო დროს ყველაზე მეტი, ანუ 34%, მიიღო, თუმცა ეს გაცილებით ნაკლებია იმასთან შედარებით, რაც მან სხვა დანარჩენი სამი ტელეკომპანიის ეთერით მიიღო. ამასთან ერთად, მაშინ, როდესაც ბატონი სააკაშვილი პოზიტიურად შექდებოდა, 15% იყო ნეგატიური. ყველაზე მეტად გაშუქებულ კანდიდატთა სიაში შემდეგი იყვნენ ბატონი გაჩეჩილაძე (18%) და ბატონი პატარკაციშვილი (17%). ისინი ძირითადად ნეიტრალურად ან პოზიტიურად შექდებოდნენ. თბილისში არსებულმა ტელეკომპანია „კავკასიამ“ სულ სხვა სურათი აჩვენა, და მან მეტი დრო ოპოზიციურ კანდიდატებს დაუთმო (ბატონი ნათელაშვილი, ბატონი გამყრელიძე და ბატონი გაჩეჩილაძე) და ძირითადად ნეიტრალურად ან კრიტიკულად აშუქებდა ბატონ სააკაშვილს.

ცესკო პირველად აკეთებს თავის მედია მონიტორინგს, რომელსაც იგი კონტრაქტის საფუძველზე, კომერციული კომპანიის - „პრაიმ-ტაიმის“ მეშვეობით ახორციელებს. 18 დეკემბერს, ცესკო-მ თავისი პირველი მედიამონიტორინგის

შედეგები გამოაქვეყნა. დღემდე არც ერთი ოფიციალური საჩივარი მედიის მიერ არჩევნების გაშუქებასთან დაკავშირებით არ შესულა. არც ცესკო-ს და არც საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას ამ თვალსაზრისით არ მიუღია ზომები არც ერთი მაუწყებლის წინააღმდეგ. „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ ეთერში უჩვენა რეგულარული გადაცემა, სადაც თვით მარეგულირებელი მედიასაბჭოს, რომელიც ადამ მიხნიკის მიერ შეიქმნა, წევრებმა არჩევნების გაშუქების საკითხი განიხილეს.

ტელეკომპანია „იმედმა“ საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის წინააღმდეგ საქმე აღძრა და მის მიერ ნოემბრის მოვლენების გამო დაკისრებული სამი სანქციის მოხსნა მოითხოვა<sup>2</sup>. 14 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ გაფრთხილებასთან და ლიცენზიის დროებით შეწყვეტასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესის გამართვაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ უარი თქვა ჯარიმის გაუქმებაზე. ტელეკომპანია „იმედის“ თხოვნა სამივე სანქციის გაუქმებასთან დაკავშირებით, ბევრ ფაქტორთან ერთად მოტივირებული იყო იმ ფაქტით, რომ ლიცენზიას ვადა 2008 წლის აპრილში ეწურებოდა. ლიცენზიის ავტომატურად გაგრძელება კი, შესაძლებელია თუ ტელეკომპანია საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას<sup>3</sup> არ ეავს დაჯარიმებული. საქმის საფუძვლიანი განხილვა 16 იანვარს მოხდება. ამასთან ერთად, ტელეკომპანია „იმედმა“ აცნობა არჩევნების სადამკვირვებლო მისიას იმის თაობაზე, რომ 3 დეკემბრიდან მოყოლებული თავისი ბუღალტერია ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ინსპექტორების მიერ მოწმდებოდა.

## VI. საჩივრები და გასაჩივრება

საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების წინააღმდეგ და საარჩევნო კამპანიის დროს კანონმდებლობის დარღვევის შესახებ ბევრი ოფიციალური საჩივარი შევიდა<sup>4</sup>. პოლიტიკური პარტიები და დამკვირვებლები ეჭვქვეშ აყენებენ საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლოების მიუკერძოებლობას, მიიჩნევენ, რა, რომ გადაწყვეტილებები ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და მისი კანდიდატის სასარგებლოდ იქნება მიღებული. რეალობაში, საჩივრებისა და გასაჩივრებულ საქმეთა განხილვის კანონში ჩამოყალიბებული პროცედურები ბუნდოვანია, რადგან მომჩივანი პირები, საარჩევნო კომისიები და სასამართლოები იბრძვიან მათი ინტერპრეტაციისა და გამოყენებისთვის.

<sup>2</sup> 7 ნოემბერს საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ გაფრთხილებისა და ჯარიმის სახით ორი სანქცია დააკისრა ტელეკომპანია „იმედს“. ხელისუფლების ძალისმიერი გზით დამსობისკენ მოწოდების გამო, ლიცენზია დროებით 8 ნოემბერს შეუჩერდა. მიუხედავად იმისა, რომ 4 დეკემბერს საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ გააუქმა გაფრთხილებისა და ტელეკომპანია „იმედის“ ლიცენზიის დროებითი შეჩერების სანქცია, იმედი აცხადებდა, რომ საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებები მათი მიღების დღიდანვე არაკანონიერი იყო.

<sup>3</sup> მაუწყებლობის შესახებ კანონის 39-ე მუხლი განმარტავს, რომ ლიცენზიის გაგრძელება შესაძლებელია ავტომატურად თუ 72.2 მუხლით გათვალისწინებული სანქცია არ გამოყენებულა.

<sup>4</sup> ცესკო-ში შევიდა 15 საჩივარი, თბილისისა და ქუთაისის სასამართლოებში განიხილებოდა – 12 საქმე, სააპელაციო სასამართლოებში კი – ხუთი.

ცესკო-მ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციიდან მიიღო საჩივრები, რომელშიც ამტკიცებდნენ, რომ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება არასწორად ხორციელდებოდა და ხდებოდა ამომრჩეველთა მოსყიდვა მათი ხმების მისაღებად მმართველი პარტიის კანდიდატის მიერ. ისინი მის რეგისტრაციიდან მოხსნას მოითხოვდნენ. ცესკო-მ ასევე მიიღო საჩივრები იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილი ჰქონდა პოლიტიკური თანამდებობის და დანიშნვითი თანამდებობის პირების მიერ სამუშაო დროს საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის ფაქტებს. საჩივრებში ამ პირთა დაჯარიმებას მოითხოვდნენ.

თავდაპირველად ცესკო, არ იღებდა გადაწყვეტილებას როგორც კოლეგიალური ორგანო როგორც მოითხოვს კანონი<sup>5</sup>. სამაგიეროდ, ცესკო-ს თავმჯდომარე საჩივრებს მხოლოდ უარის წერილებით პასუხობდა. ამ წერილებში სათანადოდ არ იყო მოყვანილი ფაქტები და კანონი, რომელთაც გადაწყვეტილება ეფუძნებოდა. ეს წერილები, უმეტეს წილად, არ იყო თანმიმდევრული, კანონიერად დასაბუთებული ან არ იმყოფებოდა კანონთან შესაბამისობაში. ცესკომ, როგორც კომისიამ, გადაწყვეტილებების გამოტანა საჩივრებთან დაკავშირებით მხოლოდ 19 დეკემბერს დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ სხდომები საჯარო და კოლეგიალურია, ისინი არ არის მთლიანად გამჭვირვალე. როგორც ჩანს, კომისიის წევრებს არ შესწევთ გადაწყვეტილების მიღების უნარი, რადგან საკითხები, ფაქტები და კანონი არ არის ნათლად, საფუძვლიანად და სათანადოდ დასაბუთებული და განხილული. წევრები ხმას აძლევენ პარტიის პოლიტიკიდან გამომდინარე და მათი გადაწყვეტილებები არ ეფუძნება კანონის გონივრულ გააზრებას. მაგალითად, ოპოზიციური პარტიის მიერ დანიშნული ექვსი პირი დღემდე სისტემატურად ერთხმად აძლევს ხმას მმართველი პარტიის მიერ საარჩევნო კამპანიის კანონების დარღვევაში დადანაშაულების სასარგებლოდ, როცა დანარჩენი შვიდი წევრი არ უჭირს მხარს. აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით ყველა საჩივარი მმართველი პარტიის კანდიდატის, პოლიტიკური თანამდებობის და დანიშნვითი თანამდებობის პირების წინააღმდეგ ცესკო-მ არ დააკამყოფილა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ შეტანილ საჩივარი ცესკო-ს გადაწყვეტილების წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკამყოფილა, არ გაიზიარა რა რომ ზოგიერთი პოლიტიკური დანიშნვითი თანამდებობის პირები სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას უკანონოდ ატარებდნენ კამპანიას სააკაშვილის სასარგებლოდ. სხვა საქმე ამავე საკითხზე განსახილველია<sup>6</sup>. სხვა შემთვევაში არის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაციის მოთხოვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართ

<sup>5</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 29(ფ) მუხლი განმარტავს, რომ ცესკო (როგორც კომისია) იღებს გადაწყვეტილებებს არჩევნებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ცესკო-ს რეგლამენტი არ განმარტავს იმას, თუ როგორ უნდა მოხდეს შემოსული საჩივრების განხილვა.

<sup>6</sup> ამ საჩივრების მითითებულია, რომ თბილისის მერი და სხვადასხვა მინისტრები აკრძალულ კამპანიას ეწევიან. სასამართლოს არც ერთ აღნიშნულ ფაქტზე წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ გამოუქვეყნებია.

რეგისტრაციიდან მოეხსნათ კანდიდატები სააკაშვილი და პატარკაციშვილი ამომრჩეველთა მოსყიდვის გამო, არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საჩივარი ცესკო-ს გადაწყვეტილების წინააღმდეგ არ მიეცათ უფლება ქართველი სამხედროებისთვის, რომლებიც კოსოვოსა და ერაყში მსახურობენ, ხმა მისცენ საზღვარგარეთ. სასამართლომ დაასკვნა, რომ ცესკო-ს გადაწყვეტილება მოკლებული იყო რეალურ სამართლებრივ საფუძველს. მოსამართლემ გააკრიტიკა ცესკო იმის გამო, რომ კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს დადგენილებას პოლიტიკურ და არა სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით. აღსანიშნავია, რომ ცესკო-ს იურისტმა ცესკო-ს გადაწყვეტილების უკანონობა სასამართლოში აღიარა<sup>7</sup>.

ცესკო-მ, სახალხო დამცველის აპარატმა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და გენერალურმა პროკურატურამ მიიღო საჩივრები არჩევნებთან დაკავშირებული და პოლიტიკურად მოტივირებული სხვადასხვა დანაშაულის შესახებ, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ოპოზიციის მხარდამჭერების დაშინების, მოტაცებისა და თავდასხმის შესახებ, ზოგიერთ შემთხვევაში სამართალდამცავები პირები მოისაზრებიან. ბევრი საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მტკიცებულების არაარსებობის გამო დაიხურა, ზოგიერთი მათგანის გამოძიება კვლავ მიმდინარეობს. სახალხო დამცველის აპარატი აცხადებს, რომ მოქალაქეები თავს იკავებენ მოწმის ჩვენების მიცემისგან.

რაც შეეხება პოზიტიურ მხარეს, ადგილი ჰქონდა ბევრ წამოწყებას, რომლებიც საერთაშორისო დონორების მიერ ფინანსდებოდა და მიზნად ისახავდა პროკურორებისა და მოსამართლეების ტრენინგს საარჩევნო კანონის საკითხებში და იმ საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას, რაც გამოძიებისა და არჩევნებთან დაკავშირებული დანაშაულის გამოძიების კუთხით არსებობს. საჩივრების ცხელი ხაზი ფუნქციონირებს ცესკო-ში, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებსაც საჩივრების მიღების უფლება გააჩნიათ და/ან უწევენ იურიდიულ დახმარებას და კონსულტაციას არჩევნების საკითხებთან დაკავშირებით.

## VII. ადგილობრივი მიუკერძოებელი დამკვირვებლები

ადგილობრივი ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართული სადამკვირვებლო საქმიანობაში. რადგან მათ აქვთ იმის უფლება, რომ დააკვირდნენ არჩევნების ყველა ეტაპს, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა წინასწარ უნდა განაცხადონ იმის თაობაზე, თუ რომელ ოლქში იქნება თითოეული დამკვირვებელი მივლენილი არჩევნების დღეს.

<sup>7</sup> სამხედროების არჩევნებში მონაწილეობას ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნულმა ცესკო-ს 6 წევრმა მხარი არ დაუჭირა, დანარჩენმა 7 წევრმა კი, ხმა მის სასარგებლოდ მისცა. შედეგად დადგენილებამ საჭირო ხმების 2/3 ვერ მიიღო.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას აცნობეს იმ ფაქტების შესახებ, როდესაც სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების დამკვირვებლებმა ზეწოლის გამო ორგანიზაცია დატოვეს. აჭარაში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კამპანიის მონაწილემ დააშინა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რაიონის კოორდინატორი. დაიწყო გამოძიება და აღნიშნული პიროვნება საარჩევნო კამპანიას ჩამოაშორეს. სახალხო მოძრაობამ „მრავალეროვანი საქართველო“, განაცხადა, რომ მათ შეექმნათ პრობლემა თავიანთი დამკვირვებლებისთვის ტრენინგის ჩატარებისთვის, რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ და კერძო მფლობელებმა არ გამოთქვეს სურვილი დაეთმოთ შენობა. ანგარიშის მომზადების პერიოდში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აქტიურობდა საჩივრების ცესკო-სა და სასამართლოებში შეტანის თვალსაზრისით. საჩივრები საარჩევნო კამპანიის სხვადასხვა ასპექტს მოიცავდა (იხილეთ საჩივრები და გასაჩივრება).

## **IX. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა**

ანგარიშის მომზადების პერიოდში არჩევნების სადამკვირვებლო მისია განაგრძობს რეგულარულ საქმიანობას, ხვდება სახელმწიფო მოხელეებს, სამთავრობო სამუშაო ჯგუფის ჩათვლით, პარტიების წარმომადგენლებს, კანდიდატებს, საარჩევნო ადმინისტრაციას, სასამართლოს ოფიციალურ პირებს, მასმედიის წარმომადგენლებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და დიპლომატიურ მისიებს. მისიის ხელმძღვანელი, მათ შორის, შეხვდა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, ცესკო-ს თავმჯდომარეს, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს და გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს. საპარლამენტო დელეგაციებთან და მათ ადგილობრივ წარმომადგენლებთან კოორდინაციით მიმდინარეობს მზადება, რათა მოხდეს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპარლამენტის დამკვირვებლების განთავსება.